ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №220

18 ივლისი 2014 წ.

კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე სააგარაკო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ

მოქალაქე მაია სირაძეს (პირადი N01002000299) კ. ბახმაროში, გურიის ქუჩაზე არსებული 100კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვს მოქ. ნათელა ცინცაძისგან (პირადი N46001012290), რომლის სახელზეც გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა N345, წარმოადგენს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს და რომლის საფუძველზეც მოხდა კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე აღნიშნული მიწის საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრაცია (ს.კ. N28.24.21.085), ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული არ არის.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 72-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა და მოქალაქე მაია სირაძის N73 (30.06.2014წ) განცხადების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. მოქალაქე მაია სირაძეს (პირადი N01017020004) უარი ეთქვას კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე (ს.კ. N28.24.21.085) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე სააგარაკო-საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვაზე.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე - ჭავჭავაძის ქ.№4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*